

# სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები

## მიხეილ ჩაჩხუნაშვილზე

15 ოქტომბერი, 2019 წელი

თბილისი, საქართველო

### ციტატები წერილებიდან

“...მიშას იმ დროიდან ვიცნობ, როცა მე და ის „კავკასიის კლუბის“ გამგეობის წევრები ვიყავით. კავკასიის კლუბი იყო საბჭოთა საქართველოში პირველი ოფიციალური არასამთავრობო ორგანიზაცია. დიდი ამბავი იყო, როცა დაგვარეგისტრირეს. გამგეობის თავმჯდომარე იყო ლალი ჯავახიშვილი. გამგეობაში ვიყავით: ზალიკო ქიქოძე, ვია თარხან-მოურავი, დიტო თუმანიშვილი, ნიკო მელიქაძე, მიშა ჩაჩხუნაშვილი, რომან გოცირიძე. ...მე ვიყავი ერთად-ერთი ქალი. ეს მართლა იყო პირველი არასამთავრობო საქართველოში. 9 აპრილის მერე კლუბმა არსებობა შეწყვიტა იმიტომ, რომ გაიყო აზრები, ზოგი მხარს უჭერდა პოლიტიკაში წასვლას, ზოგი კი ისევ სამოქალაქო ნაწილში დარჩენას. აი, ეს ამბავი.“

ნათელა სახოკია, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი.

„...ბატონი მიხეილ ჩაჩხუნაშვილის უდიდესი დამსახურებაა 90-იანი წლების ბოლოს ენგურჭესის რეაბილიტაციის I ეტაპის დაწყება, რაც, ყოველთვის, ქართული ენერგეტიკისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო. ბატონი მიხეილის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით მოხერხდა 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ეს ძალიან რთული იყო, ქართული დელეგაციის გამგზავრება ქრანს-მონტანას საერთაშორისო კონფერენციაზე (Crans-Montana, Switzerland), რომელიც კაშხლების უსაფრთხოებას მიეძღვნა. ამ კონფერენციაზე პირველად გაჟღერდა ენგურჭესის უსაფრთხოების პრობლემური საკითხები. სწორედ ამ კონფერენციის შემდგომ დაიგეგმა ენერგეტიკული გაერთიანება E-7-ის ვიზიტი საქართველოში, ენგურჭესზე; შემდეგ ბატონი მიხეილის უშუალო მონაწილეობით შეიცარა ელსპერტების ვიზიტი და შემდეგ სწორედ ამ ელსპერტების მონაწილეობით, ქართველ სპეციალისტებთან ერთად, შეიქმნა „ენგურჭესის რეაბილიტაციის პროექტი“. სწორედ ამ პროექტით განხორციელდა 2001 წელს ენგურჭესის რეაბილიტაციის I ეტაპის დაწყება, უკვე მრავალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მონაწილეობით.“

დავით მირცხულავა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; თავმჯდომარე, საქართველოს დიდი კაშხლების ეროვნული კომიტეტი.

„...წლების გამოცდილებამ მაჩვენა, რამდენად რთული, საპასუხისმგებლო და ქვეყნის მომავლისთვის, მისი არსებობისთვის აუცილებელია ამ საქმიანობის უწყვეტად, ზნეობრივად და სწორად წარმართვა! პირადად ჩემი, ჩემი ქართველი და ფინელი თანამოაზრეების, კოლეგების დიდი პატივისცემა ბატონ მიხეილს! ჩვენი „საქართველო-ფინეთის მეგობრობის ასოციაცია; თბილისი-ჰელსინკი და ევროპული ალიანსი

საქართველოსთვის“ ორმაგად მხარს უჭერს ინიციატივას - ბატონი მიხეილ ჩაჩხუნაშვილის ღვაწლი შესაფერისად იქნას დაფასებული ქართული სახელმწიფოს მიერ!“

მანანა კვენეტაძე-მაჭავარიანი, პრეზიდენტი, „საქართველო-ფინეთის მეგობრობის ასოციაცია თბილისი-ჰელსინკი და ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“.

„...გულითადად მივესალმები სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აქტიურობას. ბატონი მიხეილ ჩაჩხუნაშვილის განვლილი გზა, ცხოვრებისეული გამოცდილება და საზოგადოებრივი ღვაწლი ნამდვილად იმსახურებს დაფასებას!“

ბესიკ სილაგაძე, აფხაზეთის ა/რ მთავრობის პროტოკოლის სამსახურის უფროსი.

„...ბატონ მიხეილთან ურთიერთობამ ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ასეთი უანგარო ადამიანები იშვიათია, ვინიდან, სამწუხაროდ, ჩვენს გარემოცვაში, უმეტესობა პირად გამორჩენაზეა ორიენტირებული. ის ჩემთვის არის მამაკაცის იდეალი, ღრმა, სულიერების მქონე ადამიანი, სიკეთისკენ მომართული, ტოლერანტული და, ამასთანავე, არაკომფორმისტი და ზნეობრივ საკითხებში უკომპრომისო. ბატონ მიმასთან ურთიერთობის შედეგად, გინდა, რომ უკეთესი გახდე, უფრო ფართოდ შეხედო სამყაროს.“

მანანა შარაშიძე, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე.

“...საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველოში არსებობდა სხვადასხვა დარგის აკადემიური პროფესიონალები, რომლებიც პროფესიონალობითან ერთად, მაღალი ზნეობრივი კრიტერიუმებითაც გამორჩეულები იყვნენ. მათ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს ინტელექტუალური პოტენციალი არ იქნა ჯეროვნად გამოყენებული. თუ ოდესმე 90-იანი წლების გარდამავალი პერიოდის ისტორია დაიწერება, ვფიქრობ, ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვნად დამაზიანებელ ფაქტორად სწორედ ამ ინტელექტუალთა დაკარგვა უნდა ჩაითვალოს. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო თავისი შესაძლებლობების ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება ახალ პირობებში. 90-იან წლებში საქართველოში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიურობის დაწყების პერიოდია. მაშინ დონორებთან თანამშრომლობის არავითარი გამოცდილება არ არსებობდა და განვითარების პროექტების წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელი იყო (და დღესაც აქტუალურია) ამ პროექტებს მაღალი ინტელექტისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების პირები წარმართავდნენ. სწორედ ამ თვისებებით უხვად დაჯილდოებული პიროვნებაა მიშა ჩაჩხუნაშვილი - ჭეშმარიტად სამოქალაქო საზოგადოების სინდისის ადამიანი“.

თენგიზ გოგელია, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების მართვის კონსულტანტი.

„...ბატონი მიშა ჩემი კოლეგა და უფროსი მეგობარია. დიდი იშვიათობაა ერთდროულად ასეთი გონებისა და ღირსების ადამიანი. მასთან ურთიერთობა ნამდვილი სკოლაა. ეს არის დიდი დიაპაზონის მოღვაწე; კაცი, რომელსაც მასშტაბური ცვლილებების განხორციელება შეუძლია. ბევრ ღირსებასთან ერთად, მის ორ იშვიათ

თვისებას გამოვყოფ: საგნის თუ მოვლენის ყველა მხრიდან დანახვის უნარს და აზრის ძალიან მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმას. მახსოვს, ერთხელ, ბრიუსელში ყოფნისას, ვეუბნები (სინამდვილეში, კითხვას ვუსვამ): რა ადვილია, ჩვენი ქვეყნისგან საუკეთესო ქვეყანა ავაშენოთ. მპასუხობს: ვინ, ჩვენი?

აქვე აღვნიშნავ მისი განსაკუთრებული იუმორის შესახებ. და კიდევ ერთი: ადამიანს განსაცდელში ნამდვილი თვისებები უძლიერდება - კარგი უკეთესი ხდება, ცუდი უარესი. სამაგალითოა ბატონი მიშას დამოკიდებულება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. კაცი, რომელიც არსად შეიძლება იყოს ზედმეტი და არასასურველი. “

უჩა ვახანია, აღმასრულებელი დირექტორი, „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“.

...საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მეხსიერება, უპირველესად, იმ ადამიანებისგან შედგება, ვინც დიდი შრომა გასწია თვითონ სამოქალაქო საზოგადოების ხელახლა შექმნისა და განვითარებისათვის გასული საუკუნის 1990-იან წლებში. დღეს, შეიძლება, თამამად ითქვას, რომ დიდი ხანია, რაც მომდევნო თაობას ზეპირმეტყველებით გადაეცემა ამბები იმ ადამიანთა შესახებ, ვინც უკვე დაიმკვიდრა საზოგადოების მორალური ხატის ადგილი სამოქალაქო „სექტორის“ წეს-ჩვეულებათა და ტრადიციების ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში.

ასეთი ადამიანები, დღეს, ის ფიგურები გახლავან, რომელთა სახელი სამოქალაქო საზოგადოების სიმბოლო გახდა. ამ ადამიანთა სიტყვის ციტირებისას, ან მათ მოღვაწეობაზე საუბრისას, საჭიროებას მოკლებულია დაზუსტება, თუ ვიზეა საუბარი.

დიდწილად, ქვეყნის დიდმა ნაწილმა, სწორედ ამ ადამიანების ქმედებით ისწავლა გამბედაობა მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვისას ქვეყნის მნიშვნელოვან, რთულ ისტორიულ პერიოდსა თუ წამებში. ეს იმ დროს მოხდა, როცა საქართველოში განვითარებული მოვლენები ბევრისთვის დილემას წარმოადგენდა, აერჩია: სიმართლე თუ კონფორმიზმი, სხვისი დახმარება თუ ლუკმა ოჯახისთვის, პოპულისტებისათვის მიუღებელი ღირებულების დაცვა თუ გულგრილად „მშვიდი“ ძილი.

ისევ ბევრია იმ რთული პერიოდის გამოძახილი ჩვენს დროშიც და ისევ ბევრ რასმე გვკანრახობს გარდასულ დღეთა გამოცდილება. მრავალჯერ ვიხსენებთ მაგალითებს, ვინ, რა და როგორ მოიმოქმედა და როგორ გაძლო, არ წაქეულიყო გზაზე - რომ ახლაც წარმოვიდგინოთ, გავიხსენოთ და თვალწინ გვქონდეს მაგალითი, რადგან ხშირად გვჭირდება ნამდვილი ამბავი იმისა, თუ როგორ გავიგოთ ქვეყნის სიყვარული სისხლისღვრისა და შიმშილის, დალატისა და გაუტანლობის ჟამს; როგორ გამოვნახოთ რესურსი და როგორ გავანაწილოთ ის იმგვარად, რომ არა მარტო ღირსება შევინარჩუნოთ და გადავრჩეთ, არამედ სიკეთე შევქმნათ და ამით განვითარდეთ.

დღევანდელ დღეს, შეიარაღებული კონფლიქტისა და ომისშემდგომი საქმიანობა საქართველოში ახალი ფენომენი აღარ არის. ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელიც საქართველოს მაგალითზე ცდილობს, განახორციელოს საკუთარი საქმიანობა, რათა გაუმკლავდეს ამ ბოროტებათა შედეგებს. თუმცა, ჩვენი ქვეყნისთვის გარდასული განსაცდელის დღეები ისევ მტკივნეულია და ჯერ ისევ შორს ვართ მდგრადი მშვიდობის დამყარებისგან.

ეჭვი არ არის, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლები განსაკუთრებული განსაცდელი იყო საქართველოსთვის. დღესაც ძებნის პროცესშია საქართველო, რა და როგორ გაკეთდეს უკეთესი მომავლისათვის და მაშინ ხომ, საერთოდ სიბნელე იდგა ჩვენს ქვეყანაში. მაშინ, იმ დროის განსაცდელში ჩაისახა და გადარჩენას ლამობდა ჩვენი სამოქალაქო ცნობიერება და სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ის ადამიანებიც, ვისი სახელიც დღეს, უკვე გაძლიერებული სამოქალაქო საზოგადოების სიმბოლო გახდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და განვითარების საქმეში ფასდაუდებელია ბატონი მიხეილ ჩაჩხუნაშვილის ამაგი. დიდია მისი ღვაწლი აფხაზურ, ოსურ და ქართულ მხარეზე სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა და გაძლიერების, საგანმანათლებლო, საარქივო, საინფორმაციო

და დემოკრატიული განვითარების, ნდობის მშენებლობისა და დიალოგის ხელშეწყობის საქმეში შეიარაღებული კონფლიქტისა და ომის შედეგად გახლეჩილ საზოგადოებებში.

მრავალარხიანი დიპლომატიის ცნობილი 9 არხიდან, სწორედ მე-8 არხი (ფონდი, დაფინანსების უზრუნველყოფა) ასაზრდოებს და ავითარებს სხვა დანარჩენს. ფონდების მართებულად გამოყენება კონფლიქტის არაძალადობრივად მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის საშუალებას იძლევა. ხშირად, ამ საქმიანობაში ჩართულნი არიან თემიცა და ინდივიდიც, სხვადასხვა ხარისხით ახორციელებენ ფილანტროფიას და, საბოლოო ჯამში, წარმოშობენ ფინანსურ დახმარებას ყველა სხვა არხის ეგიდით განხორციელებული სამშვიდობო საქმიანობისთვის.

ბატონი მიშას მოღვაწეობის სრულყოფილი აღწერა და შეფასება მომავლის საქმეა, თუმცა დღეს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასა და განვითარებაში მისი დამსახურებისა და წვლილის თანაზომადი აღიარება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ.

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, დირექტორი,  
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN).